

ზვიად კირტავა

კავკასიის მედიცინის და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის პროფესორი,
მედიცინის პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი

თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი

„კავკასიის უნივერსიტეტის და თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში, „ერაზმუს +“ აკადემიური მობილობის პროგრამით ვიმყოფებოდი ვიზიტით მაკედონიაში, ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მასწავლებლის - არისტოტელეს მშობლიურ ქალაქ თესალონიკში, არისტოტელეს უნივერსიტეტში.

მასპინძელი მხარე იყო არისტოტელეს უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, კერძოდ, შინაგანი მედიცინის #4 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შინაგანი მედიცინის და რევმატოლოგიის პროფესორი, ალექსანდროს გარიფალოსი (ჰიპოკრატეს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში).

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა დისკუსია - შინაგანი მედიცინის რევმატოლოგიის თანამედროვე პრობლემებზე და სწავლების ფორმებზე. ასევე წავიკითხე ლექციები: „რევმატოლოგიის სილუეტი, ხიბლი და სიძნელები / გამოწვევები“ და „მოგრენის სინდრომი - დაავადება აუტოიმუნიტეტის და ნეოპლაზიის ზღვარზე“. პროფესორ გარიფალოსთან ერთად მონაწილეობა მივიღე საბერძნეთის სხვადასხვა რევმატოლოგიური განყოფილებების (ათენის, თესალონიკის, იანინას, ლარისას, პატრას, თესალის, ჰერაკლიონ-კრეტას და სხვ) რთული შემთხვევების ყოველკვირიულ დისტანციურ განხილვაში. განხილული იყო 32 წლის ქალის შემთხვევა სისტემური წითელი მგლურით, ეპილეფსიით და კარდიომიოპათიით. მსგავსი ინტერჰოსპიტალური განხილვა უწყვეტი სამედიცინო განვითარების და პაციენტის დახმარების ხარისხის გაუმჯობესების ბრწყინვალე საშუალებაა.

ასევე განვიხილეთ სამომავლო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები - როგორც სტუდენტების, ასევე - აკადემიური პერსონალის კუთხით. თესალონიკის ჰოსპიტალი „იპოკრატეონ“ დიდი მრავალპროფილური კლინიკაა 800 საწოლზე, ხოლო არისტოტელეს უნივერსიტეტი კიდეც 5 დიდ კლინიკას აერთიანებს: AHEPA, Papanikolaou, Papageorgiou, G. Genimatas, და კანის და ვენერიულ დაავადებათა ჰოსპიტალს. ასე რომ, სტუდენტების გაცვლითი პროგრამების და საზაფხულო პრაქტიკის ორგანიზების მხრივ საკმაოდ კარგი შესაძლებლობაა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ა.წ. ივნისიდან ბერძნული სახელმწიფო ავიაკომპანია Aegean გეგმავს პირდაპირი რეისების დანიშვნას თესალონიკსა და თბილისს შორის.

ვიზიტის პერიოდში შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი მაკედონიის მხარის საოცარ ბუნებას და მდიდარ ისტორიულ ძეგლებს თესალონიკში, კავალასა, ვერიასა ნეო-პოტიდიასა და კასტორიაში, ასევე სუროტში, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მონასტერში, სადაც დაკრძალულია წმინდა პაისი ათონელი, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტისა და არისტოტელეს უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტებს პროგრამის კოორდინირებისათვის, ასევე - პროფესორ გარიფალოსს კარგად ორგანიზებული შეხვედრებისთვის. მობილობის პროგრამა განხორციელდა საბერძნეთში აღდგომის ორკვირიანი არდადეგების შემდეგ და ნამდვილად არ იყო ადვილი სამუშაოზე დაბრუნებული პერსონალის ძალზე დატვირთული კვირას ლექციებისა და შეხვედრების გრაფიკის შეთანხმება.”